იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 5 (142)

მარტი,

1966 წელი



თბილისი, სანაპიროს ხედი ბარათაშვილის ხიდიდან.

დღეს საქართველოს კაბადონი

პლასტმასელები გვთავაზობენ

თბილისის პლასტმასის ქარხანამ დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის აღმავლობაში. იგი ახლაც პლასტმასის დეტალების ძირითადი მიმწოდებელია ისეთი მზარდი საწარმოებისათვის, როგორიც არის „ელექტროძრავა“, „ელექტროავტომატი“, „კასპელექტროაპარატი“ და სხვ.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქარხანა მნიშვნელოვნად გაიზარდა, გადიდდა მისი საწარმოო ფართობები, დამონტაჟდა ორიგინალური როტორული ხაზი, რომელმაც ერთიორად გაადიდა შრომის ნაყოფიერება ზოგიერთი რთული ოპერაციის შესრულების დროს. ამ ბოლო დროს აქ აითვისეს 200-მდე დასახელების ახალი დეტალის გამოშვება. გაუმჯობესდა წარმოების კულტურაც, გაორკეცდა კვალიფიციური მუშათა რიცხვი.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი

წითელწყარო. ამ დღეებში სოფელ არხილოსკალოსა და სოფელ ოზაანში გაიხსნა უნივერსალური მაღაზიები. დასასრულს უახლოვდება მსხვილი სავაჭრო საწარმოების მშენებლობა ზემო მაჩხაანსა და არბოშიკში.

დაახლოებით ასი მაღაზია და სასადილოა ამჟამად რაიონის საცალო ქსელში. კოოპკავშირში სულ უფრო ფართოდ ინერგება ვაჭრობის პროგრესული ფორმები — თვითმომსახურება, საქონლის გაყიდვა გატანით, ნიმუშების მიხედვით. გაიხსნა ახალი სპეციალიზებული მაღაზიები „ტრიკოტაჟი“, „ავეჯი“, „ფეხსაცმელი“, „ტანსაცმელი“, „სამეურნეო დანიშნულების საქონელი“, „წიგნები“, „კულტმაღაზია“.

წითელწყაროელმა კოოპერატორებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ვაჭრობის სრულყოფის საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საშენ მასალებსა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე. უკვე წელს რაიონში მნიშვნელოვნად გადიდდა ტელევიზორების, რადიოლებისა და რადიომიმღებების, ავეჯის, პიანინოს, მაცივრების, ხეტყის მასალების, ცემენტის, რბილი სახურავისა და შიფერის გაყიდვა.

დასახულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ კოლმეურნეებს უშუალოდ ყანებსა და ვენახებში მიუტანონ გასაყიდი საქონელი. ფართოდ ვრცელდება გაზიდვით ვაჭრობა, სამუშაო ადგილებზე ცხელი კერძის მიტანა. ამ მიზნით შეიქმნა სამი ავტოდუქანი და სამი ავტოსასადილო.

ახალ მშენებლობანი

საჩხერე. სულ უფრო მიმზიდველი და კეთილმოწყობილი ხდება საჩხერე. მთელი რიგი ახალ-მშენებლობანი ხორციელდება ქალაქში. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა აფთიაქის ტიპიური შენობა, თესლის საკონტროლო ლაბორატორია, დამთავრდა 8 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მდინარე ყვირილაზე აიგო ახალი კაპიტალური საავტომობილო ხიდი.

გათვალისწინებულია წელს დამთავრდეს მთავარი წყალსადენის, საკონსერვო ქარხნის, 240 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. ამ დღეებში ქალაქის ცენტრში საფუძველი ჩაეყარა კულტურის სახლის მშენებლობას.

ავტომობილმშენებლებთან

ჟუთაისი. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი სასადილო-პავილიონი. ამით დიდად გაუმჯობესდა ავტომობილმშენებელთა კვების საქმე.

სულ უფრო უმჯობესდება ავტოქარხნელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ავტომობილმშენებელთა დაბაში არის კეთილმოწყობილი კლუბი, საზაფხულო ესტრადა, საზაფხულო კინოთეატრი, სააბავშვო ბაგა-ბაღები, საშუალო სკოლები და საღამოს მუშა-ახალგაზრდობის სკოლები.

კეთილმოწყობილი გახდა ქარხნის მუშათა დაბა. საავტომობილო ქარხნის მაგისტრალური ქუჩიდან დასახლებაში 15-მდე ქუჩა გადის, რომლებზედაც აღმართულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ყველა ქუჩა მოასფალტებული და გამწვანებულია. მიმდინარე წელს ავტომობილმშენებელთათვის აიგება 5 საცხოვრებელი სახლი 7.200 კვადრატული მეტრი ფართობით. გარდა ამისა ქალაქში სპეციალისტების მოედანთან აიგება ერთი საერთო საცხოვრებელი.

წელს დაიწყება სამი ექვსსართულიანი კოოპერატიული სახლის მშენებლობა, რომლებშიც 150 ოჯახი შესახლდება. მუშათა დაბაში აშენდება 6-სართულიანი სასტუმრო. მის პირველ სართულზე მოთავსდება რესტორანი. წელს გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი. ქარხნის ტერიტორიაზე მოეწყობა სამრეცხაო. 500 ახალი ნომერი დაემატება ავტომატურ ტელეფონის სადგურს.



სურათზე: საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.

ქართველ სპეციალისტთა პროექტით აშენდება

ვიეტნამის მიწაზე ჩაისა და ყავის ფაბრიკების თეთრი კორპუსები შენდება. მათ აშენებს თავისუფალი ხალხი, რომელმაც კოლონიალიზმის უღელი ჩამოიგდო.

საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების სპეციალისტები ეხმარებიან ვიეტნამელებს სამრეწველო საწარმოთა დაპროექტებასა და მშენებლობაში, სრულყოფილი ტექნოლოგიის შემუშავებაში.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს.

— ჩვენს ინსტიტუტსა და ვიეტნამის სახელმწიფო მეურნეობებს შორის მტკიცე საქმიანი ურთიერთობაა, — თქვა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კვების მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა გ. ს. ჯომარჯიძემ. — სპეციალისტთა ჯგუფები ხშირად მიემგზავრებიან ვიეტნამში კვების საწარმოთა პროექტების შესამუშავებლად. იქ ამ დღეებში გაფრინდა დამპროექტებელ ინჟინერთა მორიგი ჯგუფი, რომლებმაც ადგილი უნდა შეარჩიონ ორი ჩაის ფაბრიკის მშენებლობისათვის.

მშენებლობის განყოფილების უფროსი გ. ნარსია, სანტექნიკის განყოფილების უფროსი ნ. ჭავჭავაძე, საძიებო განყოფილების უფროსი ა. რუხაძე, ბურღვის ოსტატი მ. კოსტინი და ტოპოგრაფი დ. გიორგიანი პირველად როდი დაეხმარებიან ქვეყანას, რომლისადმი ახლა მთელის ყველა ადამიანის ყურადღებაა მიპყრობილი.

ტიპობრივი პროექტით, რომლის მიხედვითაც ახალი ფაბრიკები აშენდება ვიეტნამში, გათვალისწინებულია ჩაის დამუშავების ყველა პროცესის სრული ავტომატიზაცია. ტექნოლოგიური ხაზი ერთსართულიანი შენობის შიგნით გაჭიმულა, რომლის ერთ ბოლოში ბუნკერში ჩაიყრება მწვანე ფოთოლი, მეორედან კი გადმოტვირთავენ ყუთებს, რომლებშიც სურნელოვანი ჩაი იქნება. ასეთი ტიპის ფაბრიკა, ტექნოლოგიური სქემის გამარტივების მეოხებით, წინანდელ, ორსართულიან ფაბრიკაზე ბევრად ეკონომიური იქნება.

ახლა ვიეტნამის სახელმწიფო მეურნეობებში თბილისელ სპეციალისტთა პროექტებით მიმდინარეობს ორი ჩაის და ორი ყავის ფაბრიკის მშენებლობა.

ტყიგული ხარაჩოებზე

ტყიგული. უკანასკნელ წლებში მეშახტეთა ქალაქმა მთლიანად იცვალა სახე. აქ აშენდა კულტურის სასახლე, საშუალო სკოლა, სასტუმრო, პიონერთა სასახლე, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული შენობა, საავადმყოფოები, შეიქმნა მუშათა ახალი საცხოვრებელი უბნები.

მეშახტეთა ქალაქი მშენებლობის ხარაჩოებშია. წელს ახალმშენებლობებისათვის გათვალისწინებულია 4 მილიონ მანეთზე მეტი. შენდება კომკავშირული შახტი, რომელიც წლის ბოლოს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ეს იქნება ერთ-ერთი უდიდესი შახტი ტყიბულში. მიმდინარეობს „დასავლეთი-2“ შახტის მშენებლობა.

დაიწყო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც მეშახტის დღისავის დამთავრდება. მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ „საშახტმშენის“ ტრესტის ტყიბულის სამშენებლო სამმართველოს ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა.

იზრდება...

წყალტუბო. წყალტუბოს ცენტრალური შემნახველი სალაროს მეანაბრეთა რიცხვი ყოველთვიურად იზრდება. მარტო მიმდინარე წელს სალაროს 2.200 მეანაბრე შეემატა.

რაიონის ყველა სასოფლო საბჭოსთან, სანატორიუმთან და დიდი დასახლების უბანში გახსნილია შემნახველი სალაროები.

ახლა წყალტუბოს რაიონში 30 შემნახველი სალაროა. 1970 წლამდე გაიხსნება 5 ახალი შემნახველი სალარო.

შოთა რუსთაველი და სვეტიცხოველის სამყარო

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.
შ ო თ ა.



ლევან გოთუა

დიდი წიგნის გაჩენა დიდი თავდაცვითი ბრძოლის მოგებას უდრის. იგი მუდამ გამარჯვების საწინდრად რჩება.

ხშირად ერის სულიერი სახის შესანახავად წიგნი უფრო საჭიროა, ვიდრე მუზარადი. 1966 წელი შოთას დიდებული სახელით შემობრძანდა საქართველოში. ამიერით ვიდრე გაისამდე შოთას წელია. სვეტიცხოველის მერიდიანი წელს დედამიწას რუსთაველის სახელითა და შემოქმედებით შემოევლება. ეს დიდებული ქართველი კარგა ხანია მორჭმით გავიდა მსოფლიო საწიგნეთის უმაღლეს გზებზე. მისი უკვდავი ქმნილება გადაითარგმნა თითქმის ყოველ კულტურულ ენაზე... ტყავი და ფერი კი არ იცვალა, არამედ გულქართულ „ვეფხისტყაოსნად“ მივიდა, ყველგან ძმადნაფიცები გაიჩინა, კაცთმოყვარეობისა და სიკეთის სანთელი მიიტანა და გაიმარჯვა.

რუსთაველის 800 წლისთავს ფართოდ და საყოველთაოდ აღნიშნავს კაცობრიობა, გაერთიანებული ერების მშვიდობიანი საბჭოც... მაგრამ ქართველთათვის ამ სახელს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

დღეს შოთა ის სახელია, ყველას რომ აერთიანებს ჩვენშიც — სვეტიცხოველის სამყაროში და სხვაგან მყოფ ქართველებსაც!

დიახ, ქართველობის, ხანდახან შორიშორა საკრებულოში, ახლა რუსთაველის სიბრძნე და სიყვარული დევს „გზად და ხიდად“! მისი „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ქართველი ერის გონებრივი და ზნეობრივი ნიშნების ხატოვანი კონაა!

ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გულგაუტეხი სულისკვეთება და ადამიანის ბუნების წვდომა მუდამ მკვიდრობდა ამირანისა და მინდიას კეთილშობილ ქვეყანაში მათი სულიერი შვილების შვილია შოთა! ესეც უაღრესად ბუნებრივია, რომ შოთა ლექსის ზვავად მოვიდა, როგორც თითქმის ყველაფერი საქართველოში!

იგი საოცარი ანარეკლია ერის სულიერი და ფიზიკური საცხოვრისისა... და ნურავის გიკვირთ, თუ ოცნების თვალით დანახული კავკასიონისა და სპერის ზღვის მხარე — „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ დედან ხელნაწერებად გვიჩანს! იგი ჩვენი ერის მიერ არის დასაბამიდან ტაძრებითა და ციხე-ქალაქებით შემკული და დასახლებული. ზვრებითა და ქარხნებით შემშვენებული. საუკუნეთა ძვრებში შელეწილი აბჯრითა და მკერდით დაცული.

ყველაფერი ეს ჩვენი ერის საკუთრებაა და ყოველი თაობის საზრუნავი.

კაცობრიობის პირველ აკვანთა შორის იყო ქართლოსიანთა ბაღლი სარწეველიც... ჩვენც პერანგში დავიბადენით, მხოლოდ ჯაჭვისა აღმოჩნდა იგი! შოთამ იგი შემდეგ ვეფხის ტყავით შემოსა, შნო და მნიშვნელობა შემატა... თავმდაბლობას იმიტომ ვაფასებთ, რომ თავმოყვარეობას აძლევს ნიშატს. ერის კაცს თავისი პირადი, ოჯახური და ეროვნული ზნეობაცა და თავმოყვარეობაც უნდა გააჩნდეს. იგი ყველასათვის ყველგან სავალდებულოა. და იქნებ სამშობლოს გარეთ უფრო მეტიც, რადგან იქ ხშირად მხარშიც არავინ გიდგას, გულისხმინ მოდუნებაც უფრო ადვილია და განსაცდელიც უფრო მეტი!

ვინც იცის ქართული წიგნის ნახატის, მშობლიური ფარატინის სიტკბო უცხოობაში, ის გამიგებს — რა სიხარულია, როდესაც ქართველ ბავშვს, შორს საქართველოდან, ქართულ რუკაზე აადგმევინებენ ხოლმე ფეხს!

მათთვის, ვინც ვერც თვალითა და ვერც ხელით ვერ სწვდება კავკასიონს, „ვეფხისტყაოსანი“ ხომ უცილობელი მშობლიური მიწა-წყალია, რომელსაც ყოველ თქმაში გრძნობ და რაც უფრო შორსა ხარ, უფრო უნდა აფასებდე! ჩვენ, ქართველები, შოთასი, თამარის, დავით აღმაშენებლის, გიორგი მთაწმინდელის, საბა-სულხანის, ერეკლესი და სხვა ზნემაღალთა ერი ვართ და ჩვენ მეტი მოგვეთხოვება!

შოთას და თამარის ხანა ოქროს ხანა იყო ჩვენი წარსულისა. ჩვენც ამ ოცნებიდან გამოვდივართ და ვფიქრობთ, რომ ყოველი შეგნებული თაობა უნდა ეცადოს მისი ხანაც ოქროს ხანა გახდეს მისი ქვეყნის ისტორიაში. თავისი შეძლებისდაგვარი წვლილი, კეთილი შეიტანოს მშობლიეთის საუნჯეში...

ერის ცხოვრებაში არაფერი არ არის იმაზე უფრო დამამცირებელი და გამთიშველი, როგორც ურთიერთ უნდობლობა და შიში! ერის ერთსულოვნებას კი ტოლი ძალა არა ჰყავს დედამიწაზე.

საქართველოში დღეს ყველა შოთას ირგვლივ საქმიანობს. აღფრთოვანება თანდათან მატულობს... მატულობს მრავალდარგოვანი შემოქმედებაც... უამრავი საგაზეთო წერილი, რადიოგადაცემა, შოთას დროინდელი ისტორიული ძეგლების კინო და სატელევიზიო გადაღებანი, ლექციები, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემათა სამზადისი, ახალი გამოკვლევები, გათხრები, ძიებანი... ახალი წიგნები, მხატვრული ტილოები, ქანდაკება. ერთი სიტყვით, ჩვენი ერი და მიწა-წყალი შოთას სახელითა და სახით ალაპარაკდა. სამზადისი მალე ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცევა და... რუსთაველის სახელობის მეტრო-სადგურთან რუსთაველის ძეგლი კვარცხლბეკიდან დინჯად ჩამოვა, რუსთაველის გამზირს ჩაივლის და რუსთაველის თეატრში დრამა „რუსთაველს“ ნახავს!

აი ხალხის სიყვარულიც ამას ჰქვია!.. და ნეტავ აქ, ამ დღესასწაულზე, უცხო სტუმრებთან ერთად, ჩამოგვივიდნენ უცხოობაში ჩარჩენილი ქართველებიც! სამშობლო ნახონ, ჩვენც დაგვხედონ... საერთო სიხარული გაიზიარონ.

მაგრამ სხვა ქვეყნებში მყოფ ქართველთა ქართველობა სამშობლოდან მანძილის სიშორე—სიახლოვით არ უნდა განიზომებოდეს! მით უფრო ახლა, ყოველი თვითშეგნებული ქართველი, სადაც უნდა იყოს იგი — დღეს რუსთაველისა და მისი ქვეყნის კულტურულ-ეროვნულ რწმუნებულად უნდა გრძნობდეს თავს! იგი უნდა იყოს უპირველესი გულშემატკივარი ამ ეროვნული ზეიმისა, მასპინძელი და განმვრცობი შოთას სახელისა და კაცთმოყვარე იდეებისა, ჭირისუფალი ქართული წიგნისა და სიტყვისა! შოთა რუსთაველი ხომ ჩვენი კულტურული თავისთავადობაა!

ჩვენო ნაბრძოლო და ნაშრომო, მამულეთის მოყვარე ერო, შენ მუდამ გაგაჩნდა ძალა და გული ახალ-ახალი შემართებისათვის. სხვაგან გადატყორცნილ შენს შვილებს საბოლოოდ არასოდეს არ დაუკარგავთ თავიანთი ენა, სული ქართული, არ დავიწყებიათ თავისი ძველსაფიცარი... ნათქვამია, მანძილი უფრო ამახვილებს ვაჟკაცურ ლტოლვას, ეროვნულ სიამაყეს და სამშობლოს სიყვარულსო! დაე შოთა რუსთაველის ჯადოქრული ნაგალობარი დედამიწის ყოველ კუთხეში ვიგულვოთ ჩვენ საერთო ქართულ ენად, ხიდად, წიგნად და მიწად!.. ხოლო შესაფერ ვითარებაში — დაე იგივე „ვეფხისტყაოსანი“ იყოს დედი მეკვლე — სამშობლოში დასაბრუნებლად!

შენ კი, სვეტიცხოველისა და გელათის ირგვლივ დარჩენილო, ახალი ცხოვრების შემოქმედო, გამარჯვებული ერო, შენ კიდევ გააჩენ რუსთაველს, და იქნება ენ სწორედ შოთას წელიწადს მოხდეს!



დიდი ხელოვანი



ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია წარმოუდგენელია უახმეტელოდ. მან უდიდესი ღვაწლი დასდო ეროვნულ კულტურას და განსაკუთრებული ადგილიც დაიმკვიდრა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

როცა ახმეტელის სახელს ვახსენებთ, ჩვენში უნებლიეთ წამოიჭრება მრავალი კითხვა — რამ განაპირობა მისი სპექტაკლების უჩვეულო წარმატება, რაში იყო მისი ტალანტის ძალა, რას ესწრაფოდა იგი და რა პერსპექტივებს შლიდა ჩვენს წინ?

ახმეტელი ქართულ თეატრში მოვიდა როგორც ნოვატორი და სრულიად ახალი განათება მისცა გმირული თეატრის იდეას. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა გმირულ-რომანტიკული სტილისა. ის იყო „რაინდული რომანტიზმის“ ტრუბადური, მისი შთაგონებული მომღერალი. რუსთაველის თეატრი მას სხვაგვარად ვერც წარმოედგინა. აკი პირდაპირ ამბობდა: „როდესაც რუსთაველის თეატრი გადაუხვევს ამ გზიდან, შეწყვეტს მუშაობას, როგორც პეროიკული თეატრი, მაშინ იგი შეწყვეტს არსებობას“...

გმირობისა და რაინდული მგზნებარების იდეალი ევროპის ან სხვა ქვეყნების თეატრალური პრაქტიკიდან არ გამოჰყოლია ახმეტელს. მან ქართული სინამდვილეში დაინახა იგი და სცადა მისი თეატრალური სახიერება. ა. ლუნაჩარსკიმ ახმეტელის ძიებათა შესახებ თქვა: „ეს ცხოველი აქტიორული გენიალობა მას ძალდატანებით არ გაუხვევია ევროპის თეატრალურ სამოსში. არამედ, ასე ვთქვათ, ნაციონალური ნიჭიერებით აღებჭდილ მშვენიერსა და მძლავრ სხეულს მოარგო ახალი თეატრალური ფორმა“.

ახმეტელის შემოქმედებისათვის მთავარი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მონუმენტურ ფორმებში გამოხატვა იყო. ერის სულიერი ცხოვრების თეატრალური სახიერების მთავარ პრობლემად მან გმირულისა და ფსიქოლოგიურის ერთიანობა მიიჩნია.

ვინც ღრმად ჩაიხედავს რუსთაველის თეატრის ისტორიაში, უსათუოდ დაინახავს, თუ როგორ ეძებდა თეატრი თავის სახეს, როგორ ქმნიდა იგი ახალ ფორმებსა და საშუალებებს.

ახმეტელმა არაერთ აქტიორულ სახეში მონახა ჰეროიკულისა და ლირიკულის, გმირულისა და ფსიქოლოგიურის ორგანული მთლიანობის დიდებული ფორმა (ლამარა, ბერსენევი, ძმები მოორები და სხვ). ყველაზე მეტად ეს „ყაჩაღებში“ იქნა გამოკვეთილი, და აი სწორედ „ყაჩაღების“ დადგმის შემდეგ ახმეტელმა განაცხადა: „ჩვენ განვლეთ მხოლოდ სიჭაბუკის პერიოდი, რის შედეგადაც დაიწყება რთული მუშაობა ჩვენი შემოქმედებითი შესაძლებლობის გამომჟღავნების მხრივ...“. მთელი თეატრის განვლილი გზა და მისი ხასიათი ახმეტელმა ასე განაზოგადა: „ჩვენ მოვდიოდით „ლამარადან“ დაწყებული, „ანზორის“, „თეთნულდის“ და გათავებული „ყაჩაღების“ გზით. ნათელი უნდა გახდეს მთელი ჩვენ მიერ განვლილი გზა, რომლითაც დამთავრებულია თვალსაჩინო საფეხური“. აქ თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ახმეტელი ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა, ახალი ქართული ეროვნული, დიდი თეატრალური კულტურის შექმნა თავიდან უნდა დავიწყოთ და არა ძველი თეატრის ფსიქოლოგიის შინაგანი ინერციის საფუძველზეო, სავსებით ნათელი გახდება ახმეტელის შემოქმედებითი ძიების ხასიათი და მის მიერ განვლილი გზის თავისებურება.

ახმეტელის სპექტაკლებიდან გამორჩეული ადგილი ეკუთვნის „რღვევას“, „ანზორს“, „ლამარასა“ და „ყაჩაღებს“.

„რღვევა“ ს. ახმეტელისათვის წარმოადგენდა ახალ რომანტიკულ სამყაროს, სადაც ადამიანების დიდი რწმენა, სიყვარული და თავგანწირვა იყო, სადაც ყველაფერი სუნთქავდა ვაჟკაცობისა და რევოლუციური გზნების პათოსით. ძველისა და ახლის ჭიდილში იწრთობოდნენ და იბადებოდნენ ახალი ადამიანები.

„რღვევა“ რომ ნახა, გამოჩენილმა მწერალმა დ. კლდიაშვილმა თქვა: „გულგახარებული იმის დანახვით, რაც ვიხილე დასის მიერ წარმოდგენილ „რღვევაში“ — ვაშას შევძახებ სასიქადულო ახალი თეატრის დიდებულ მოღვაწეთ... დაე ასე ბრწყინვალედ ემსახუროს (და მრწამს, რომ ემსახურება) ხალხს, ხელოვნებას“.

აქვე უნდა გავიხსენოთ დიდი საბჭოთა რეჟისორის ა. ტაიროვის სიტყვები: „დღეს დიდი სიამოვნებით ვნახე თქვენი „რღვევა“ და მოხარული ვარ, რომ მაქვს საშუალება კიდევ ერთხელ მივესალმო თქვენს მშვენიერ თეატრს“.

სპექტაკლი დიდი სიხარულით მიიღო პიესის ავტორმა. იგი მან თბილისში ნახა და ასეთი სტრიქონები ჩაწერა შთაბეჭდილების წიგნში:

ძვირფასო მეგობრებო!

გულწრფელად, სიხარულით, აღტაცებული ვესალმები საქართველოს ახალგაზრდა თეატრის შესანიშნავ სპექტაკლს. მე დიდად ამაღელვა და მომხიბლა აქტიორთა მთელი კოლექტივის იმ მეგობრულმა, მშვენიერმა და შეწყობილმა მუშაობამ, რომელიც „რღვევაში“ ვნახე. იგი ჰეშმარიტი შემოქმედებითი წვით არის აღბეჭდილი.

სულითა და გულით ვუსურვებ რუსთაველის თეატრის მთელ კოლექტივს ასეთივე ენერგიითა და წარმატებით იაროს ეროვნული თეატრის განვითარების გზაზე.

გულწრფელი მადლიერებით
გორის ლავრენევი“.

„ანზორი“ ლოგიკური გაგრძელება და ერთგვარი შემოწმება იყო იმ გმირული რომანტიკული სტილისა, რუსთაველის თეატრის მხატვრულ თავისებურებას რომ ჰქმნიდა. სიცოცხლისა და მოქმედების, რევოლუციური მგზნებარებისა და გატაცების სპექტაკლში დიდებულად გამოისახა ხალხის რევოლუციური სულისკვეთება, გამომჟღავნდა მისი ჭარბი ენერგია და სურვილი ახალი სინამდვილისადმი ერთგულებისა. მასობრივი სცენები იქცნენ ხალხის განწყობილებისა და ნაფიქრის გამოვლინების მძლავრ საშუალებად. ამ სპექტაკლის ძალა ის იყო, რომ რეჟისორმა სახალხო სცენებს მოუხახა მძაფრი სულიერი განწყობილების დამტევი, კომპოზიციურად მკვრივი, სანახაობრივად ლამაზი სცენური ფორმა. ხალხი წარმოსდგა, როგორც აქტიური ძალა, რომელმაც იცის, საით უნდა მიმართოს თავისი მახვილი.

საოცარი დინამიკურობით ვითარდებოდა მესამე აქტი. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა სიკვდილთან ბრძოლა და რევოლუციური საქმის გამარჯვების აუცილებლობა.

როგორც ამ სურათის მნახველები გადმოგვცემენ, „სიკვდილის ცეკვაში“ ახმეტელმა შექმნა ისეთი მასობრივი სცენა, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ ახსოვს თეატრის ისტორიას.

ამერიკელი მწერალი ანა ლუიზა სტრონგი აღტაცებული წერდა: „მესამე აქტი თავისი დრამატიზმით და არქიტექტონიკით ისეთ სიმაღლეს აღწევს, როგორიც მსოფლიოს არც ერთ სცენაზე არ მინახავს“.

„ლამარა“ ჟღერდა, როგორც სიმფონია. მასში ყველაფერი — სიტყვა თუ სინათლე, მუსიკა თუ მოქმედება — წარმოადგენდა ჰარმონიულ მთლიანობას. ამაში იყო მისი განუმეორებელი მომხიბვლელობა და პოეტური სიდიადე.

სულ სხვაგვარი ფილოსოფიური სიღრმეები გახსნა ახმეტელმა შილერის „ყაჩაღებში“. აქ ჭაბუკური ტემპერამენტი მშვენივრად შეუერთდა სიბრძნეს, პათოსი ფსიქოლოგიურ განწყობილებას.

...ჩვენს წინ გადაიშალა დიდი სოციალური ტრაგედია, გაჭრნენ შილერის დეკლამაციები და მელოდრამატული მოხასმები. ფრაზა გადაიქცა უფრო ქმედითად. წინა ხაზზე გამოვიდნენ ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული ჭაბუკები. ეს იყო ნამდვილი ვაჟკაცური გზნებისა და რომანტიკული გაქანების სპექტაკლი.

ახმეტელის სპექტაკლები განსაკუთრებული მუსიკალობით გამოირჩეოდნენ.

მთელი მისი მხატვრული სამყარო ძლიერი მუსიკალური ჰანგებით, მისი რიტმითა და ემოციებით იყო შთაგონებული. მან იპოვნა სწორი გზები, რომ ოსტატურად გამოეყენებინა მუსიკა, როგორც სცენური მოქმედების, სიტყვის, პლასტიკის, გმირთა განწყობისა და სხვა მხატვრული საშუალებების ემოციურად შემაერთებელი ძალა.

სიმფონიას უწოდებენ ახმეტელის სპექტაკლებს. დიდმა რეჟისორმა საოცრად იგრძნო მუსიკის აუცილებლობა ქართულ თეატრში. უფრო სწორად, იგრძნო მისი ეპიკური

ძვირფასო კოტე!

ძვირფასო კოტე, რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის, იცოდე, რომ გარდა შენდამი უღრმესი სიყვარულისა და ერთგულების, მე გულში არაფერს ვფარავ.

მე ვიცი სპეტაკ მეგობრად დარჩენა ბრძოლის დროსაც ცი. მე დავიკავე შენი ადგილი თეატრში მხოლოდ იმ აზრით, რომ ადრე თუ გვიან დაგაბრუნო შენს საყვარელ თეატრში, ოღონდაც კი შენ ეს მოისურვო. ვიცი შენს სულს ჩვენს თეატრში განუსაზღვრელი უფლებები ექნება, ამიტომ არ გადაიდგმება არც ერთი ნაბიჯი ისე, რომ წინასწარ არ შეგითანხმო. მე შევეცდები, როგორადაც კი შევძლებ, სინდისიერად გამოვამჟღავნო შემოქმედებაში შენი ყოველი ჩანაფიქრი.

მდგომარეობა ამ წლის სეზონის დასაწყისისა ძალიან ცუდია. მუშაობას ვიწყებთ გვიან. ჩემ მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და შემადგენლობა კომისიამ მიიღო. მუშაობის დასაწყისი მხოლოდ 20 ავგისტოდანაა.*) შევძლებ თუ არა სეზონის გახსნას ოქტომბრის ბოლოს, რა თქმა უნდა, საკითხავია. რეპერტუარი შემდეგია:


„მეფე ლირი“, შექსპირის ერთი კომედია, „ფიესკოს შეთქმულება“, „ბანჯგვლიანი მაიმუნი“, „ზამუკა“, „ახალი აზნი“, „სინათლე“ მე-2 ნაწილი, ერთი ქართული კომედია რამიშვილის ან კლდიაშვილის.

ლირის საკითხს გადაწყვეტ თვით, როდის და როგორ უნდა გააკეთო.**)

სანდრო ახმეტელი.

1926 წელი.

*) პრემიერა 1926-27 წლის თეატრალურ სეზონზე.
**) დედანი რუსულად დაცულია რუსთაველის თეატრის მუზეუმში.



სურათზე: სცენა ს. ახმეტელის სპექტაკლ „ანზორიდან“.

ბუნება, მისი მნიშვნელობა და ადგილი თეატრალურ კულტურაში.

კ. მარჯანიშვილთან ერთად მან ქართულ თეატრში მოიტანა და დაამკვიდრა სინთეზური ხელოვნების ფორმები. ქართული საბჭოთა თეატრის ბრძოლა სინთეზური, მრავალმხრივად განვითარებული სპექტაკლებისათვის ნაწილი იყო იმ რთული თეატრალური რეფორმებისა, ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟიდან რომ დაიწყო.

რუსთაველის თეატრმა დიდებულად იგრძნო ქართველი ხალხის მუსიკალური ბუნება.

კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართულმა თეატრმა სპექტაკლის მუსიკალური გადაწყვეტის ბრწყინვალე ტრადიცია შექმნა.

სინთეზურობა ახმეტელს არ წარმოედგინა როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგის უბრალო შეკრება.

მხატვრული აზროვნების სხვადასხვა ფორმა სპექტაკლში ერთიანდებოდა და ქმნიდა ხელოვნების ახალ სახეს. თეატრი, რომელიც ტრადიციულად ეფუძნებოდა ლიტერატურას, ორგანულად ესისხლხორცებოდა მხატვრობას, მუსიკას, ქორეოგრაფიას და აძლევდა მათ თავისებურ ფორმას. ეს ფორმა ამავე დროს სპექტაკლის ფორმაც იყო. ცენტრში იდგა მსახიობი, დირიჟორობდა რეჟისორი.

სირთულე ახალი თეატრისა ამ სინთეზშიც იყო.

მან სრულიად ახალი ამოცანის წინაშე დააყენა თეატრის შემოქმედებითი და ტექნიკური ელემენტების ერთიანობის საკითხიც.


ახმეტელმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა თეატრში შემოქმედებითი და ტექნიკური ელემენტების მკაცრად ორგანიზებული ერთობლიობის პრობლემა.

ბედნიერია ქართული თეატრი, რომ მას კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის სახელი ამშვენებს. ისინი სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ ერთნაირად დიდი შთაგონებითა და სიყვარულით აშენებდნენ ახალ ქართულ საბჭოთა თეატრს.

ახმეტელი თავის ძიებაში ძირითადად ეყრდნობოდა ქართული თეატრის საუკეთესო მონაპოვარს, იყენებდა მარჯანიშვილის მიერ მოტანილი ახალი თეატრალური კულტურის მიღწევებს, მაგრამ დაჟინებით მიისწრაფოდა წინ.

დღეს სადავოდ აღარავის მიაჩნია, რომ ქართული თეატრის ეროვნული სახის პრობლემის გარკვევა წარმოუდგენელია ახმეტელის თეატრალური ესთეტიკის გაუთვალისწინებლად. მაგრამ ახმეტელის შემოქმედებითი პრაქტიკა დღემ არ არის. ახმეტელს საშინლად სძაგდა მიმბაძველობა ხელოვნებაში. იგი მთელი არსებით ნოვატორი იყო და ამიტომ ხმამაღლა აცხადებდა: „ჩვენი თეატრი თეატრია ძიების“ „...ჩვენი მთავარი მიზანი ჯერ კიდევ შორს არის“. მომავალი ცხოვრება მოითხოვს თავის შესატყვის ფორმებს, საშუალებებს. ჩვენ გვექნება შეცდომებიც და მარცხიც ძიების ამ გზაზე. ჩვენ დიდხანს მოგვიხდება ვიფიქროთ, ჩვენი სიმღერებიდან და ცეკვებიდან, ხალხურ ფორმებიდან როგორ „ავიღოთ ელემენტები ახალი საშუალებებისათვის“ ფიროსმანის თვალით უნდა შევხედოთ ბევრ ხალხურ ქმედობას, უნდა შევისწავლოთ და მივიღოთ საუკეთესო კულტურული მიღწევა, რაც საქართველოს მიღმა იქნება, მაგრამ ყველგან და ყველაფერში ქართული, „ეროვნული თეატრი უპირველესად და უმთავრესად უნდა ეყრდნობოდეს თავის შინაგან წყაროებს და ამ წყაროებს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ საერთოც...“. ამ რწმენით იღვწოდა იგი. ეს რწმენა აძლევდა მას შთაგონებას, ენერგიას, ხალისს. ამ ძიებით დაამთავრა მან ერთი ეპოქა, სიჭაბუკის ეპოქა რუსთაველის თეატრისა...

ვასილ კიკნაძე,
თეატრმცოდნე.



კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი

წერილი ნიუ-იორკიდან

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ გასული, 1965 წლის სექტემბრის ნომერში — № 13 (131), დაიბეჭდა მწერალ ალ. ქუთათელის ნარკვევი „რუსთაველის პროსპექტი“, სადაც რამდენიმე სიტყვით მოხსენებული იყო შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ ნიუ-იორკიდან მიიღო პატივცემული ვანო ახმეტელის წერილი. რედაქციამ იგი გააცნო მწერალ ალ. ქუთათელს და სთხოვა ცოტა რამ დაეწერა ვანო ახმეტელის საპასუხოდ. გაზეთის ამ ნომერში ვბეჭდავთ ვანო ახმეტელისა და ალ. ქუთათელის წერილებს მცირედი შემოკლებით.

●●●

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე „რუსთაველის პროსპექტი“ (იხილე № 13 (131) „სამშობლოს ხმა“), სადაც ერთგან ავტორი წერს:

„საოპერო თეატრის ახლოს, თითქმის სასტუმრო „თბილისის“ გვერდით დგას როკოკოს სტილით აგებული შესანიშნავი შენობა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრისა, სადაც 1922 წელს გაბედულმა და მაღალნიჭიერმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ნამდვილი თეატრალური ხელოვნების ცეცხლი აანთო: მან შექმნა დასი ახალგაზრდა მსახიობთაგან, განაახლა და დიდ სიმაღლეზე აიყვანა ქართული თეატრი. რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები ნამდვილი ზეიმი და ალმოჩენა იყო მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისათვის. ამ თეატრში დაიბადნენ და გაიზარდნენ კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის მიერ მზრუნველობით გამოზრდილი სახელგანთქმული რეჟისორები და მსახიობები. რუსთაველის სახელობის თეატრში არაერთხელ გამოსულან ა. ლუნაჩარსკი, ვლ. მაიაკოვსკი და საბჭოთა კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის სახელი და მიღწევები დაკავშირებულია არა განსვენებულ კოტე მარჯანიშვილის სახელთან, არამედ რუსთაველის თეატრის დირექტორის და მთავარი რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელთან.

რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები, როგორც მოსკოვში, ისევე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში ხდებოდა არა კოტე მარჯანიშვილის, არამედ სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით. იმ დროის პერიოდში კოტე მარჯანიშვილს თავისი საკუთარი თეატრი ჰქონდა დაარსებული და არავითარი კავშირი აღარა ჰქონდა რუსთაველის სახელობის თეატრთან, რომლის ხელმძღვანელიც სანდრო ახმეტელი იყო. 1930-31 წლის საბჭოთა კავშირის დრამატული თეატრების ოლიმპიადაზე, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მეიერჰოლდის თეატრი, სამხატვრო თეატრი, მცირე თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, ვახტანგოვის თეატრი, ბერეზილის თეატრი და სხვა მრავალი, სწორედ რუსთაველის სახელობის თეატრმა, სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, ყველა დრამატულ თეატრს შორის, რომელნიც კი საბჭოთა კავშირში არსებობდნენ, პირველი ადგილი დაიკავა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოტე მარჯანიშვილის თეატრი არც კი იყო აღნიშნული როგორც ღირსშესანიშნავი.

სიტყვა ვერ აწერს, თუ რა მოხდა „ანზორის დამთავრების შემდეგ. აღელვებული და თვალცრემლიანი ანატოლი ლუნაჩარსკი მივიდა სანდრო ახმეტელთან და ბოდიში მოიხადა, რომ მან შედარებით გვიან გაიცნო სანდრო ახმეტელი, რომ იგი უფრო ადრე უნდა გასცნობოდა რუსთაველის თეატრს.

მე ძალიან მოვიცავს „რუსთაველის პროსპექტის“ ავტორის მიერ ფაქტების დამახინჯება! აბა ვინ იქნება საქართველოში ისეთი პიროვნება, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრს სანდრო ახმეტელის სახელს ჩამოაშორებს და აღარ ახსენებს სანდროს სახელს რუსთაველის სახელობის თეატრის ცხოვრებაში! და, ბოლოს, რაში დასჭირდა როგორც ავტორს, ისევე „სამშობლოს ხმას“ ზემოთ აღნიშნული ფაქტების ასეთი დამახინჯება!

ვანო ახმეტელი.



ასახელმძღვანელო ვერცხლი

პასუხი ვანო ახმეტელს

ჩემო უცნობო მკითხველო, ჩემი პატარა ნარკვევის — „რუსთაველის პროსპექტის“ გამო თქვენი შენიშვნა — „ერთი შეცდომის შესახებ“ წავიკითხე. თქვენ ბრალსა მდებთ შეცდომაში— რეჟისორის სანდრო ახმეტელის როლის მიჩქმალვაში. მაგრამ იგი უსაფუძვლოა, მიკერძოებული მსჯელობის შედეგია.

ჩემს პატარა ნარკვევში აღწერილია ხუროთმოძღვრული, ღირსშესანიშნავი ნაგებობანი, მათ შორის — რუსთაველის სახელობის თეატრიც. მე არ მიცდია ამ შენობებში მოთავსებულ სახელმწიფოებრივ თუ კულტურულ დაწესებულებათა, იქ მომუშავე პირთა როლის და ავკარგიანობის ვრცელი შეფასება — ისტორიის მოცემა. ჩემი პატარა ნაშრომის ფარგლები ვერც დაიტევდა.

მასში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ რუსთაველის სახელობის იმჟამინდელ თეატრს 1922 წელს სათავეში ჩაუდგა ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი და ჩინებული დასი შექმნა, მან აღზარდა და გამოავლინა სახელგანთქმული მსახიობები, რეჟისორები, მათ შორის ისეთი მგზნებარე, ნიჭიერი და თავისებური გენიისა და სტილის მქონე რეჟისორი, როგორიც სანდრო ახმეტელი იყო.

როგორც ცნობილია, ახმეტელის დამოუკიდებელი მოღვაწეობა რუსთაველის სახელობის თეატრში 1928 წლიდან იწყება. მარჯანიშვილი თავისი დასით ქუთაისში გადავიდა. ხოლო ახმეტელი თბილისის თეატრში განაგრძობდა მოღვაწეობას.

სანდრო ახმეტელის წყალობით რუსთაველის სახელობის თეატრს დიდი მიღწევები ჰქონდა, მან დიდ წარმატებას მიაღწია და დამსახურებული მოწონება დაიმსახურა რუსეთში გამართული გასტროლების დროს.

ყოველივე ეს მოკლედ მქონდა აღწერილი ჩემს ნარკვევში, რაც კუპიურებით ჩემი ნარკვევის დასტამბვამ იმსხვერპლა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეცდომა განზრახ ჩავიდინეთ. არც მე და არც სხვა ვისმეს ამჟამად თავში არ მოუვა სანდრო ახმეტელის მოღვაწეობისა და დამსახურების რაიმე განზრახვით ან მოსაზრებით მიჩქმალვა. ამის გამო ბ-ნ ვანო ახმეტელის გაგულისებული შენიშვნა, მისი გაოცება, უსაფუძვლო ეჭვები, ჩემზე თავდასხმა, ფაქტების დამახინჯებაში გვრალდება გაუგებარია.

ამ უსაფუძვლო გაგულისებამ მას წონასწორობა დაუკარგა. ამ გარემოების გამო იგი თვითონვე იწყებს ფაქტების დამახინჯებას და მიკერძოებულ მსჯელობას — მარჯანიშვილის დამცირებას და ახმეტელის განდიდებას. იგი წერს: „საბჭოთა კავშირის დრამატული თეატრების ოლიმპიადაზე რუსთაველის სახელობის თეატრმა, სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, ყველა დრამატულ თეატრს შორის, რომელნიც კი საბჭოთა კავშირში არსებობდნენ, პირველი ადგილი დაიკავა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოტე მარჯანიშვილის თეატრი არც კი იყო აღნიშნული, როგორც ღირსშესანიშნავი“...

ჩემს რეცენზენტს არა აქვს შეგნებული, რომ სიყვარულსა და სიძულვილშიც საჭიროა ერთგვარი ზომა, რომ ზოგჯერ მიამიტი კაცი ზედმეტი ქებითა და ხოტბით დათვურ სამსახურს უწევს თავის მეგობარს, ნათესავს თუ მოყვარეს. საოცარია, ვისგან იცავს იგი სანდრო ახმეტელს, ვის ედავება, ვის უმტკიცებს მის სიდიადეს? კიდევ ერთი რამ უნდა შევნიშნო: თუ ბ-ნმა ვანო ახმეტელმა ქუთათელის წერილში სანდრო ახმეტელის როლის მიჩქმალვა, ფაქტების დამახინჯება დაინახა, რაც სიმართლეს არ შეიცავს, — ეს უფლებას არ აძლევდა რეცენზენტს იმავ მცდარ გზას გაჰყოლოდა და კოტე მარჯანიშვილი დაემცირებინა.

თქვენ წერთ: „მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე „რუსთაველის პროსპექტი“, სადაც მშვენივრად არის აღწერილი ყველა ის ღირსშესანიშნავი ადგილი, რუსთაველის პროსპექტს გარს რომ ახვევია“. აღარ მჯერა, რადგან თქვენ ობიექტურობა დაგიკარგავთ, ცალმხრივობაში გადასულხართ, მიკერძოებული, საფუძველს მოკლებული მსჯელობა დაგიწყიათ...

ალექსანდრე ჭუთათელი,
ქ. თბილისი.

საბჭოს ხმა

№ 4 (142), მე-5 გვ. მარტი, 1966 წ.

ჯიგრულებული სიყვარული

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ, თუ ადგილი გექნებათ, გამოაქვეყნოთ ჩემი მგზავრობისა და სამშობლოში ყოფნის პირველი დღეების პატარა თავგადასავალი. 26 იანვარს გამოვიდა ის გემი, რომელმაც წამომიყვანა ბედნიერებისაკენ.

მე მოქეიფე არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ როცა ზოგჯერ ჩავარდნილვარ ქართველებთან, ბევრს ჩემს მეგობარს აუწევია ჭიქა და უთქვამს, იმ გემის კაპიტანს გაუმარჯოს, ვინც ამ ჯოჯოხეთიდან წაგვიყვანსო... მეც გემზე ჩუმად, ჩემს გუნებაში შევსვი გემის კაპიტნის სადღეგრძელო.

11 თებერვალს უკვე იტალიაში ვიყავი. იქ ოტელში გავათენე. 12 თებერვალს მატარებლით გამოვემგზავრე და 14 თებერვალს ადრე დილით ვიყავი ქალაქ ჩოპში. ბუდაპეშტიდან მოსკოვის ჩქარ მატარებელს წამოვეცევი. ჩემს კუპეში შემოვიდა ლამაზი, ფარაჯიანი ორი მხედარი. უნგრეთის მილიცია მეგონა, მაგრამ ერთი ავიაციის ოფიცერი გამოდგა და ჩემს ბედზე კახელი. გაიმართა მეგობრული საუბარი.

ქალაქ ჩოპში შესვლის წინ ამოვიდნენ საზღვრის დამცველი ჯარისკაცები და საბუთები წაიღეს შესამოწმებლად. სადგურში არის ლამაზი დარბაზი, სადაც ხელის ბარგსა და საბუთებს ამოწმებენ. ჩემს შესახვედრად მოვიდა ერთი ქალი, რომელმაც თითქოს ბრძანების კილოთი მითხრა, თქვენ ამაღამ აქ რჩებითო.

ამ ქალმა ბარგის წამღებ მუშას უბრძანა ჩემი ჩემოდნების წაღება და მთხოვა გავყოლოდი. შეჩერდა ერთ კარებთან, რომელზეც წავიკითხე წარწერა „სალა ჩეკანია“. შევედი. ჩემს თვალწინ გადაიშალა ლამაზი დარბაზი ქალებითა და ბავშვებით სავსე. მაგიდებთან ლამაზი ქალები ემსახურებიან მგზავრებს. ცოტა გულს მომეშვა, მაგრამ ისევ შეშინებული ვარ. ამ ქალმა მითხრა, თუ გსურთ, ისაუზმეთო. მე უარი განვუცხადე, ფული არ მაქვსმეთქი, ფულიც რომ მქონოდა, რა ჭირი შემაჭმევდა. ისევ შეშინებული ვეფხვივით ვაბრიალებ თვალებს და ვეძებ „ჩეკანიას“ კარებს.

შემდეგ ამ ქალმა წამიყვანა ქალაქში. 200 მეტრზე ერთ ლამაზ სახლთან შევჩერდით, გააღო კარი და თბილ ოთახში შევედით. მომცა სახლის გასაღები და მთხოვა: ხვალ დილით თუ ქალაქში გახვალთ, ქუჩის კარის დაკეტა არ დაგავიწყდეთო. გასაღების დანახვაზე დავწუწანარდი და ვკითხე, ჩეკაში როდის წამიყვანენ მეთქი. მას გაეცინა, „სალა ჩეკანია“ ჩვენებურად მოსაცდელ დარბაზს ნიშნავსო.

დილით ქალმა ბანკში წამიყვანა და მომცეს სახარჯოთ 30 მანეთი, თან მეკითხება, რატომ მოდიხარ უფულოდო. მე ავუხსენი, მეშინოდა-მეთქი, და გაეცინა...

მომცეს უფასო ბილეთი თბილისამდე, კუპეში საწოლით. კიევში მომიხდა მატარებლის გამოცვლა, ქალაქ სოჭში ჩვენი ვაგონები თბილისის მატარებელს მიაბეს.

მატარებელში 7-8 ქართველი ჯარისკაცი იყო. შვებულებით მიდიოდნენ საქართველოში. იმ საღამოს დამპატიჟეს ამ ახალგაზრდებმა ვახშამზე. ჩვენს ხმაურს შეუერთდა ერთი ბორჯომელი, ტიკით ღვინო ჰქონდა, საკმაოდ შევქეიფიანდით, მე დავალევინე არგენტინიდან წამოღებული ყავა — ნესკაფე. ოჰ, შე კაცო, რა კარგი ყოფილაო!

სოჭში ორსაათნახევარი ჩერდება ჩვენი ვაგონები, ვიდრე მიაბამენ თბილისის მატარებელს. დეპეშის გასაგზავნად ჩავდივარ ბაქანზე. ვაგონის კიბესთან დგას ერთი მშვენიერი ახალგაზრდა და მეუბნება, ბიძია შოთა, მე ვალიკო ვარ. გადავეხვიეთ, ცრემლებმა გვაჭრა ორივეს. ეს ვალიკო ჩემი დისწულის ქმარია. ჩემი დისწული დავტოვე 18 თვის ანგელოზი, დღეს უკვე ქმიკოსია და 18 თვის შვილი ჰყავს. ბარშან დაუმთავრებია უმაღლესი. ვალიკო დავაწვინე ჩვენს კუპეში. ერთი სურამელი ჯარისკაცი იყო, გულმკერდი მედლებით ჰქონდა სავსე, იმან თავისი საწოლი დამითმო...



არ მეძინება, მინდა დავტკბე სამშობლოს მიწის დანახვით, სიბნელეში კი არაფერი ჩანს...

გამომეღვიძა, ერთ სადგურში ვიკითხე და მიპასუხეს—ხარაგოულიაო. ცოტა წვიმდა, მაინც ჩავედი და გიყივით ვეძგერე სამშობლოს გემრიელ წყალს და თვალები ამევსო ბედნიერების ცრემლებით. დიდი ხნის ნატრული წყალი დავლიე, იქ არგენტინაში ამ წყლებს ვნატრობდი და შემისრულდა.

ღამეა, მაგრამ რა ჭირი დამაძინებს. მალე გამოჩნდა ლამაზი მთები, მათი ცქერით ვტკბებოდი.

კასპში ჩემი სიძის მეთაურობით ხუთი-ექვსი კაცი ამოვიდა ჩემს შესახვედრად. სიძე ვეღარ ვიცანი, რადგან ულვაში ჰქონდა, ვეღარც ჩემი ბიძაშვილი ვალიკო და ბიძაშვილის შვილები ვიცანი. ჩემი გულის დასაწყნარებლად კონიაკი ჩაედოთ ჯიბეში და სამოვნებით გადავკარი, რადგან მეშინოდა სიხარულს დამბლად არ ჩავეგდე. მცხეთაში ჩემი 25 წლის ქვრივი მეუღლე მეგობრებს ავტოთი ამოეყვანათ. სადგურის უფროსს მოუხდა მატარებლის მეტი დროთი გაჩერება, ვიდრე იპოვნიდნენ ჩემს ვაგონს.

ლაპარაკში რომ ვიყავით გართული, მოულოდნელად კალთაში ჩამივარდა ვეებერთელა ქალი. პირველად ვერ მივხვდი ვინ იყო, მესმის დაბალ ხმაზე: შოთა, შოთა და ისე მკოცნის, გეგონება, მშიერი ვეფხვი იყოს. ხმით ვიცანი, რომ ჩემი ქვრივი მიკრავდა გულში. ტირილი სიხარულსაც სცოდნია. მცხეთიდან ისე ჩავედით თბილისში, გულში მყავდა ჩაკრული და ცრემლებით ორივეს გულ-მკერდი გვქონდა სველი. ჩემმა სიძემ ხელით აგვწია ორივენი, გეყოფათ ტირილი, უკვე თბილისში ვართო.

როგორც იქნა, შევძელი თბილისის მიწაზე ფეხის დადგმა. ვიღაცამ ჩამკრა გულში, მივხვდი რომ ჩემი დაი იყო. ისე მიკრავდა გულში, მეგონა კისერს ჭათამივით წამაგდებინებდა, დის შემდეგ უთვალავი ქალი და კაცი მკოცნის. დაჭრილი ლომივით ვაბრიალებდი თვალებს, თითქოს რაღაცას ვეძებდი, რადგან მრავალ ახალ სახეს ვხედავდი და ვერა ვცნობდი. ან როგორ შემეძლო მეცნო ზოგი 2-3 წლის ბავშვი დავტოვე, ზოგიც ჩემს შემდეგ გაჩნდა. ამას გარდა ჩემი ცოლის მეგობრები, ე. ი. თბილისის მე-11 პოლიკლინიკის ექიმები და ფერშლები, დაახლოებით 140 სული, ჩემი დის და ნათესავების მეგობრებით სულ სამასზე მეტი იყო, ამათ კიდევ ცნობისმოყვარე ხალხი მიემატა, და ბაქანზე ტევა არ იყო.

ფაშისტთა ტყვეობის ბანაკში, როცა მეც სხვებივით ვიდექი სიკვდილის რიგში, ჩვენი, ე. ი. ტყვეების საუბრის საგანი იყო მხოლოდ საჭმელი და წყალი. მე დავიფიცე, თუ როდისმე ცოცხალი ჩავიდოდი თბილისში, სადგურის რესტორანშივე დავლევდი ერთ ბოთლ ღვინოს ყველა დახოცილის სულის შესანდობრად. ასეც მოხდა, ჩემმა სიძემ და ბიძაშვილმა წამიყვანეს ფიცის შესასრულებლად რესტორანში, იქვე სადგურში.

ის ძველი საქართველო, განსაკუთრებით ძველი თბილისი ვეღარ ვნახე, სულ სხვა დამხვდა. მთლად გამოცვლილა ქალაქი. ძალიან ლამაზი და კოხტა გამხდარა. ის ადგილები, სადაც ორი ურემი გვერდს ვერ აუქცევდა, ახლა რუსთაველის გამზირს ჰგვანან სიგანითა და სილამაზით. წყნეთის ქუჩა ახლა გამზირია, ან სხვა ქუჩები ძველ ზემელზე. პარიზშიც არ მოგრძვნია ასეთი სილამაზე. ძველი სახლები აღარ არსებობს ცენტრალურ ადგილებზე. ჩემი მეუღლე ბუენოს-აირესში მწერდა, მეორემეტე კლინიკა ძველი აბანოების უბანში არისო და გულში ვფიქრობდი, საწყალი ქალი ალბათ მყრალი სუნით იხრჩობა-მეთქი. დღეს ის ადგილი ისეთი ლამაზი და სუფთაა, მისი სილამაზით ვერ გავძეხი.

ჩემი ქუჩა ვეღარ ვიცანი. გაჩერდა ავტო და მეუბნებიან, უკვე სახლში მოვედითო.


გადმოვედი ავტოდან და რას ვხედავ — მეზობლები ქუჩაში დგანან, ყველა ხელს მართმევს, მეტი წილი მკოცნის. ისევ ცრემლები ჩემი ბინის დანახვაზე.

ჭეიფი, ჭეიფი... დავიღალე. დიდებული იყო 28-ე შრომის სკოლის ყოფილი მოწაფეების მიერ მოწყობილი ქორწილი. ეს იყო სკოლის ჯგუფის ამხანაგების შეხვედრა — ქორწილი უნდა გადაგიხადოთო. მართლაც უკვდავი სიამოვნება მივიღე. წარმოგიდგენიათ, ბავშვობის მეგობრები, სკოლის გოგო-ბიჭები რომ შეიყრებიან, რა უნდა იყოს იქ მხიარულების მეტი. წინა რიგებში სანთლები ენთო და ჩვენ ამ სანთლებშუა გაგვატარეს. ცოტა არ იყოს, შემრცხვა, არ ველოდი ამისთანა მიღებას. სოფელ ახალქალაქში ჩემი ბავშვობის მეგობრებს უკვე უყიდნიათ ცხვრები და არგენტინის ყაიდაზე სურო მწვადების შეწვა...

ერთ დღეს ვდგავარ, მაღაზიის ვიტრინებს ვათვალიერებ, ფიქრებში ბუენოს-აირესში გადავრდი. ერთბაშად ქარიული საუბარი შემომესმა და კურდღელივით ვცქვიტე უურები, გამახსენდა, რომ უკვე თბილისში ვიყავი.

განსაკუთრებით მომწონს ახალგაზრდების მორალური სიწმინდე, როდესაც არ ხედავ ქუჩებში ან კინოთეატრებში პარიზის ან ბუენოს-აირესის მსგავს კოცნაობას. დადიან წითელლენტიანი მუშების და სტუდენტების მორაზიის დაცვის ბრიგადები და თვალს ადევნებენ წესიერებას. განა მსოფლიოში სხვაგან ასეთი რამე არსებობს?! თბილისის მილიცია მხოლოდ მძრაობას აქცევს მეტ უურადღებას, რადგან ქალაქის ტრანსპორტი ძლიერ გაზრდილია. ჩემი სკოლის მეგობარი სწორედ ამ წესიერების უფროსია. მეც სიხარულით ვაკვირდები ასეთი წესიერების-თვის საქართველოში, სადაც ჩემმა თვალებმა ვეღარ დაინახა ისეთი გარყვნილება, რომელსაც შეხვდები კაპიტალისტურ ქვეყნებში. მე ბევრჯერ მინახავს ბუენოს-აირესში 12-14 წლის გოგოები საკონდიტროებში დამსხდარან და აბოლებდნენ პაპიროსს.

თბილისი სავსეა უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის საქონლით და თუ გინდ სიგარეტებითაც, რაც კი გულს, სულს სურს, ყველაფრით არის სავსე აქაურობა. ჩემმა ცოლმა მიყიდა საკოსტუმე. კოსტიუმს მიკერავს ტყვეობის მეგობარი ალექსანდრე პეტრიაშვილი, რომელმაც პარიზში ისწავლა გამოჭრა და ზომების აღება. რომ მცოდნოდა,



არ მივიტანდი მის ატელიეში, სადაც უფროსად არის, რადგან საჩუქრად მიკერავს.

26 თებერვალს მივიღე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქის პასპორტი. მე-11 პოლიკლინიკის უფროსმა ექიმმა ნუნუ მგალობლიშვილმა თავისი მანქანით წამიყვანა ქ. თბილისის კომოს სახელობის ქარხანაში და, მის გამჩენს ვენაცვალე, გამიწია რეკომენდაცია, ვიწყებ მუშაობას...

აქ, თბილისში საქონლის ფასები ძალიან დაბალია. ბევრი საქონელი უფრო იაფია, ვიდრე ბუენოს-აირესში. კიდევ კარგი, ფული არ მქონდა და ვერაფერი ვიყიდე იქ, რადგან აქაც იგივე საქონელია და თანაც მეტად ხელსაყრელია აქ ყიდვა. უცხოეთიდან დაბრუნებულს უფლება აქვს ჩამოიტანოს ყველაფერი, გარდა კოკაინისა. თუ ვინმე ამ წერილის წამკითხველი გადაწყვეტს სამშობლოში დაბრუნებას, იცოდეს, რომ არავინ არაფერს არ ჩამოართმევს და ნურც ჩემსავით შეეშინდება, თუ დაინახავს სადმე „სალა ჩეკანის“...

ყველას კოცნა და ალერსი მივიღე გარდა დედაჩემისა. ჩემი და ჩემი ძმის ნატვრაში საწყალი მამა გარდაიცვალა 1942 წელს, მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა — ვანიჩკა, შოთა... საწყალ დედაჩემსაც დაკარგულ შვილებზე დარდმა მოუსპო სიცოცხლე.

ვესტუმრე დედის საფლავს და ვთხოვე პატიება... მაინც ბედნიერად ვიგრძენი თავი, რომ ერთი წვეთი ცრემლით დავნამე მისი წმინდა საფლავის ქვა.

ხვალ, 6 მარტს ვიწყებ მუშაობას საბჭოთა ქარხანაში. 8 მარტი დასვენების დღედ არის გამოცხადებული ქალთა დღესთან დაკავშირებით. მხოლოდ ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ. რასაც ვხედავ, ყველაფერი ქართველ ხალხს ეკუთვნის, ყველაფერი მშობლიურია. ჯერ არ ჩავსულვარ ჩემს სოფელში. ცხადია, იქაც დიდი ბედნიერება მელის...

მადლობას ვუძღვნი ჩემს დას და, განსაკუთრებით, ჩემს მეუღლეს, რომელმაც 25 წლის მანძილზე არ დაკარგა ჩემდამი სიყვარული, უნუგეშოდ რაღაცა სასწაულს ელოდა და მოხდა კიდეც.

ზოთა თარხნიშვილი,

თბილისი, 5 მარტი, 1966 წ.

• • •



სურათი, რომელიც დაბეჭდილია მეექვსე გვერდზე, გადაღებულია 1940 წელს. შოთა თარხნიშვილი და მისი მეუღლე — ნუნუ ჯავახიშვილი ნათელი თვალით უცქერდნენ მომავალს და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ მათ ბედნიერ ცოლ-ქმრობას მთელი მეოთხედი საუკუნით დაარღვევდა გერმანელი ფაშისტების მიერ გაჩაღებული ომი... მაგრამ ბოროტი ყოველთვის უძლურია სიკეთის წინააღმდეგ... ათას განსაცდელსა და უბედობას სძლია შოთა თარხნიშვილმა და 25 წლის განშორების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის სამშობლოს, თავის ოჯახს. და ეს მეორე სურათიც, რომელიც აქვეა დაბეჭდილი, მან თავის მოსატრებულ მეუღლესთან ერთად სწორედ ამ დღეებში გადაიღო თბილისში, რუსთაველის მოედანზე...

ტურისტული სეზონის წინ

სულ მალე გამოცხადდება ტურისტული ბილეთები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ათიათასობით ტურისტი დაიწყებს მოგზაურობას საქართველოს 37 მარშრუტით.

რესპუბლიკის ტურისტული ბაზები ენერგიულად ემზადებიან სტუმრების დასახვედრად. მთავრდება ტურისტული ბაზების რემონტი. ღამისათევი კორპუსებისათვის, კულტპავილიონებისა და კვების ბლოკებისათვის შეიძინეს ახალი ავეჯი და ინვენტარი, ბიბლიოთეკები შეავსეს ახალი ლიტერატურით. ტურისტული ბაზების მოსაწყობად გამოიყო 171 ათასი მანეთი.

1966 წელს საექსკურსიო ბიუროები და საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ტურისტული ბაზები მოემსახურებიან 1 მილიონ ცხრაასი ათას ექსკურსანტს, რომლებიც იმოგზაურებენ საქართველოს სამხედრო გზით, ვარძიაში, უფლისციხეში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და მის მიდამოებში, მდინარეების ულამაზეს ხეობებში.

ზამთრის პერიოდში მოემზადნენ ტურიზმის ინსტრუქტორები და ექსკურსიამძღოლები. მათ აქვთ საუბრების ახალი ტექსტები, რომლებშიც დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხებს.

რესპუბლიკის მშრომელთა შორის ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების ტურისტული სექციები, რომლებიც თითქმის ყველა საწარმოში და სასწავლებელშია. ამ სექციების რაოდენობა წელს 3 ათასამდე გაიზრდება. საწარმოები, დაწესებულებები და სასწავლებლები ამ სეზონში ხსნიან მთელ რიგ ახალ ტურისტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებსა და მებადურის სახლებს.

წელს მწყობრში ჩადგება ბაკურიანის, თელავისა და მესტიის ახალი მრავალსართულიანი ტურისტული ბაზები. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ცხისქიმის ტურისტული ბაზის 200-ადგილიანი ღამისსათევი კორპუსი. აქა-იქ უქმდება კარვების ბანაკები. ისინი შეცვალეს ასაწყობი სახლებით, რომლებიც მოხერხებული ავეჯითაა მოწყობილი. გარდა ამისა, შემოდგომის თვეებში ქობულეთისა და მიუსერას პიონერთა ბანაკების ბაზაზე შეიქმნება 300-საწოლიანი სეზონური ტურისტული ბაზები, ტურისტულ ბაზებში ადგილების საერთო რიცხვი 8.226-ს უდრის, მათ შორის თვითმოქმედი ტურისტებისათვის 796 ადგილია.

დიდი ყურადღება ექცევა თბილისის სპორტსმენთა მომზადებას. საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო და პროფკავშირთა ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები წელს მოამზადებენ 14 ათას „ნორჩი ტურისტის“ ნიშნოსანს, 45 ათას „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნოსანს, 5 სსრ კავშირის სპორტის ოსტატს. ტურისტულ ლაშქრობებში ჩაებმენ 100 ათას ბავშვს.

ტურისტები მიიღებენ სპეციალურ ლიტერატურას. იბეჭდება ხუთი დასახელების ბუკლეტი-მეგზური, კონვერტი-სუვენირი, სამი პლაკატი.

ისევე როგორც წინათ, წელსაც საქართველოდან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გაიგზავნება ტურისტული მატარებლები. ათასობით მშრომელს მოემსახურება 8 შორეული მოგზაურობის ტურისტული მატარებელი, რამდენიმე მეგობრობის მატარებელი აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ რესპუბლიკების დედაქალაქებში, შავი ზღვის სანაპიროზე.

საყურადღებო შრომა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა პროფესორმა ვ. გაბაშვილმა და კ. კუციამ საინტერესო კვლევა აწარმოეს აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიის საკითხებზე. ამ გამოკვლევის შედეგად მათ დაწერეს შრომა „ახლო აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიის ნარკვევები“, რომელსაც ბეჭდავს გამომცემლობა „მეცნიერება“.

შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქალაქთა ისტორიის შესწავლა მჭიდროდ დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარების თავისებურებებთან. უამისოდ შეუძლებელია, მაგალითად, გადაიჭრას უაღრესად რთული, დღემდე დაუშუშავებელი აღმოსავლეთის ქვეყნებში კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემა.

მეცნიერებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის ახლო აღმოსავლეთის ქალაქების წარმოშობა, მათში სოციალური მოძრაობანი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა, ხელოსანთა ამქრების შექმნა.

შრომაში დასაბუთებულია დასკვნა, რომ სოციალურ მოძრაობათა გაძლიერება უშუალოდ დაკავშირებულია IX-X საუკუნეების ფეოდალური ქალაქების ქმნადობის პროცესის დამთავრებასთან, ხოლო მათი მასობრივი ხასიათი ემთხვევა მომწიფებული ფეოდალიზმის დამდეგს (X-XIII საუკუნეები).

მონოგრაფიის ერთ-ერთ კარში გაშუქებულია აღმოსავლური წარმოშობის სოციალური ქალაქი ინსტიტუტები XI-XII საუკუნეების თბილისში, აღწერილია XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქთა ეკონომიური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საერთაშორისო ვაჭრობის მიხედვით. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ საგარეო ვაჭრობის ხასიათი, რომელიც ძირითადად ფეოდალთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, აძნელებდა ერთიანი საშინაო ბაზრის შექმნას როგორც საქართველოში, ისე ახლო აღმოსავლეთში. ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების დაქვეითება XVIII საუკუნის წინა ათწიაში გამოწვეულია იმით, რომ ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს ახალი საზღვაო გზები, რამაც მნიშვნელოვანწილად შეზღუდა საქართველოსა და ამიერკავკასიის საგარეო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობანი სხვა ქვეყნებთან.

იოსებ ნონეშვილი

დედა-სამშობლოს

ყოველ გაზაფხულს ნუშით, ალუჩით
გვიღიმი, ჩვენო ტკბილო დედაო.
შენს დედობაში, შენს სიყვარულში
შენს შვილებს ვერვინ შემოგვედაოს.

ბევრჯერ გაუძელ ჟამთა სიავეს,
დელგმას ავბედითს, ღვართქაფს მოხეთქილს.
ისევ სამოთხის ბაღად შრიალებს
შენი ქართლი და შენი კოლხეთი.

გულში შენი მზის შუქი ბრიალებს,
ავდარია თუ წყნარი დარია.
ვერ დაგივიწყებს, ბევრიც იაროს,
ვინც ერთხელ შენი წყალი დალია.

ვერ დაივიწყებს შენთა სოფელთა,
შენთა ქალაქთა ღიმილს ელვიანს,
მთებს, რუსთაველის შუქმადლ მოფენილთ,
საუკუნეებს მხნედ რომ ელიან.

ვერ დაივიწყებს გელათს, იყალთოს,
მტკვარს, არაგვს, რიონს ანდა ყვირილას
და რომ შენს შვილებს უფრო გვიყვარდე
დასაძრახია? გასაკვირია?

შენთა გარდასულ დღეთა ამბავი
ხერთვისს სწერია, მცხეთას სწერია.
ძველთაძველია შენი მთა-ბარი,
შენზე სიმღერაც ძველთაძველია.

მაგრამ დღეს, როცა ყველგან მოედო
შენი დიდება, შენი სახელი,
ულექსოდ როგორ დარჩეს პოეტი
ამ მოჩახჩახე დღეთა მნახველი.

ულექსოდ გულში როგორ ჩასტიოს
ეს სიხარული, ეს გამარჯვება,
ფეხზე ამდგარი მთების მოტივი,
გამძლე მუხლი და გამრჯე მარჯვენა.

შენი ცა უცხო ფერით კრიალებს,
გუგუნებს შენი გული ქართული
და სწვდება ჟამთა მერიდიანებს
შენი ნაბიჯი გოლიათური.



გაზაფხულის სიხარული

დაბადებულან მოგვილიან

ჯალაღანიას აგესალომ არსენის-ძეს, დაბადებულს 1918 წელს აბაშის რაიონის სოფ. წყეგაში, ეძებს ძმა — გონდო არსენის-ძე ჯალაღანია, მცხოვრები ქ. თბილისში.

მანწკავას იასიდორე გაბრიელის-ძეს, დაბადებულს 1901 წელს ლანჩხუთის რაიონის (ყოფილი ოზურგეთის მაზრა) სოფელ ხაჯალიაში, ეძებს ძმა — ილია გაბრიელის-ძე მანწკავა, მცხოვრები ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალიაში (ნიგვზიანის სასოფლო საბჭო).

ნოდიას თინა გიორგის ასულს, დაბადებულს 1920 წელს, ეძებს დედა — ოლია გორისის ასული თევზაია, მცხოვრები თბილისში.

გუდაღოვს ივანე სავლის-ძეს, დაბადებულს 1921 წელს, სოფ. ხაშმში (საგარეჯოს რ-ნი), ეძებენ დედა — ლიდა მიხეილის ასული და მამა — სავლი ივანეს-ძე გუდაღოვები, მცხოვრებანი სოფელ ხაშმში.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საredაქციო კოლეგია

მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.